

27 იანვარი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისგ. უკრნალი



აშუაპირი ააბრუბანი



№ 17



„მუქბან კატონა“ თფილისის ქალაქის გამგეობაში.

ნ ა წ ყ ხ ვ ე ტ ი .

(სურათი ახლო-წარსულიდან)

...ჩუ! თოხარკი, ცხენის ფეხის ხმა ამ უკუნეთში ნეტა ვინ არის?

ხმა გაძლიერდა და გზა ტყეცილზე-გამოჩნდა რაზმი, ცხენოსან ჯარის.

„ვეზეკუცია“...და ამ სიტყვაზე

გულს გადაეველა მწარე სამსალა, თვალ წინ დამიდგა თვისი სიტყვებით აწმყო ცხოვრების შეაზნეული ძალა ..

აი ჩვენს ზევით დღეს ყრილობაზე

სოფელი იყო გამოწვეული:

მას უნდა ეზღო რალაც ჯარიმა,

(რასაც ამ ვამათ ჩვენ ვართ ჩვეული;)

ათიათასა ამბობდენ მანათს,

ათი დღის ჰქონდათ ამასთან ვადა,

ეს მებუთეჯერ ახლევინებენ

გადგა სოფელი, ხალხი გამოწარდა.

გავიდა ვადა და უფროსიდან

მოვიდა ცხელი მოწერილობა

„ხვალ მოვდივარო ვეზეკუციით,

დამხედვსო სოფლის სრული ყრილობა“.

და დღეს ყრილობა უკვე მზათ იყო..

შემდეგ რა მოხდა—არ შემიტყვია,

მაგრამ ეპ, კარგი რა მოხდებოდა!

ხალხს აიკლებდენ რალა ექვია!

დაბრუნებულან კიდევ, მღერიან,

მოაქანებენ ბედაურებსა,

და, ვით პირუტყვებს, წინ მორიგევენ

ქვევითათ ტყვეებს უბედურებსა.

შესწყდა სიმღერა და ერთ წამს არე

თითქო მოიცვა ერთგვარ დუმილმა,

მარა სიჩუმე კვლავ დაარღვია

მწვევე მათრახის მძიმე შხულიმა.


ამასთან ერთად შესძრა ჰაერიც

გულის გამპობმა ღრილობა მწარემ

და ხმა ტანჯული ადამიანის

გულში ჩაიკლა მწუხარე მხარემ...

ნ. ზომლეთელი.



გურული სცენა

რეაქცია მძვინვარებს, სახლები „დასტრახე-ლებსავით“ იწვის, ხან ერთი სოფელი გადანათდება, ხან მეორე. სასოფლო კანცელარიაზე ყრილობაა (გუშინდელი „კრების“ მაგიერ). მამასახლისი შენიშნავს ერთ „მორეკლამო“ თმაგრძელ ახლო-გაზდას და ხმა მაღლა უძახის.

— დომენტი, დომენტი! მოი ბიძია აგერ, რაა ბიძია მავი რომ გავიშვია მაი ერთი ცხოველის აჯამეთი (ვითომ დღი რაყე) მაი გგონია შენ სოციალისტობა, ცდები ბიძია, თმის გაშობა რომ სოციალისტობა იყოს ჩვენი ხუცესი მარქსი იქნებოდა, გეიხუტე ძამია, გეიხუტე; დაგინახავს ვინცა ზეიზერ აყროლებული ფშიონი, ეგონები დასტურ სოციალისტი, სოციალისტებს ქე მოჯაყავ, აშუა ყახახები, შენ ქე გავბუტევენ და სოფელი ქე ამუდანდარებენ, რეიზა შობი ამფერ საქმეს, თმის რომ ქკუა ქონდეს მე კი არ ვიქნებოდი მამასახლისათ ჩემი ცოლი იქნებოდა.

პიტნა.

ასალი ამბები.

ასალი კოლეგია.

მკითხველთა ჩვენთა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეიდან გაზეთ ნიშადურში ენერგიულ მონაწილეობას მიიღებენ: თავ. რაფიელ ერისთავი, გიორგი ერისთავი, დანიელ ქონქაძე, გრიშა აბაშიძე, ილია ქაჯავაძე, ნ. ხიზანაშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექ. ეფისკოპოსი, გრიგოლ ეფისკოპოსი; რიშ-ბაბა და აკაკი წერეთელი. რისთვისაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაზეთი წარმართების გზაზე დადგება.

გამომძიება.

მიუხედავთ სასტიკი გამოძიებისა ჯერ ვერ გავიგეს ვის ეკუთვნის გაზეთ (უკაცრავათ გაზეთებთან) „ცეხლში“ ეშმაკის დახრჩობის ინიციატივა. ბ-ნი სალუქვაძე ამბობს: „მე არ დამიხრჩვიაო,“ ბ-ნი „ქალარა“ აცხადებს „ეკალი შეცდომით ეწერა, მე არაფერ შუაში ვარო“. დარჩა მხოლოდღა ორი საყურადღებო მოწმე ბ-ნი მიმინო და კრიკა. რას იტყვიან ფიც ქვეშ ვს პირები შეიმდეგ გავიგებთ. დღეს კი „ეშმაკის ჯოჯოხეთში დახრჩობა“ საიდუმლოებით არის მოკული.“

„ცინ ნაში“

როგორც გაზეთებში სწერენ ევ. დვალის მიერ გამოცემულ ორგანოს „ცინ ნაში“ მხოლოდ ექვსასიორღე მანეთი უზარალოა. ეს ნაღდ ფულათ. დღეს

თურმე მის მიერ დაარსებული „უიზილბაშების“ რაზმი დაკმაყოფილებას თხოულობს თითო თორნის პურით, რაზედაც მებურე რაქველები კატეგორიულ უარს აცხადებენ.

წმინტომა.

სამოსამართლო უწყებას დაავიწყდა, რომ თვით-ლისში სამხედრო წესები არის და „გურიის“ საქმე საჯაროთ დანიშნა, მაგრამ გენერ. გუბერნატორმა დროზე დაუქნია თითი და კარები ისევ დახურეს. ერთი კაკალის გაგდებინებაც კარგია.



მესტვირული.

(მიერთვას მეტორეთა უხუცესს გუნის).

გმირები გამინაწყენდენ
ქებულნი, პატივცემულნი,
მათრახის კულით და არა
ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი.
ზოგი უხმოთა მიბღვერის
შხამი აქვს დაგუბებული,
ზოგი ისეთიც აღმოჩნდა,
იმდენათ გადარეული,
რომ ლექსსაც ჩხამავს, უნიკო
მრავალჯერ გახუნებული...
და ან კი რა ქნას, როს ეწვის,
ზურგი აქვს აცხუნებული.

მე მაინც ვიტყვი სათქმელსა,
დავკრავ და დავაგუგუნებ,
რის ბაზას განზე გადავდებ,
გუნის მივუღიღინებ:

ჩვენო ვალიკო, ქებულო,
ნიშადურ ამოცხებულიო,
არტისტო ნიჭით კლებულო,
სცენის ბოლოზე გდებულო,
და „დრამატურგო“ უებრო,
ნაქებო, არა გამობილო,
**მედიატორულ სამართალს
რათ გაექეცი ძმობილო?..**

როცა საბუთი მოვთხოვეს,
საბუთი შენი ქორების,
დადუმდი მაშინ-ბატონი
„ნიშადურელი“ მონების.
კითხვა კვლავ გაგიმეორეს,
ალარ გაკმარეს დუმილი,
არ შეიწყნარეს, ძმობილო,
მაგ შენი გულის წუხილი.
და შენც შესძახე უტიფრათ:
საბუთად ის არ კშარისო,
რომ, ბატონებო, ჩემს გარდა,
სხვებიც მთქმელია ამისო?!

და რა შეატყვე, ძამია,
რჩებოდი გამტყუნებული,
მიბრძანდებოდი შინისკენ
ნიშადურ ამოცხებულიო,
მოიმიზეზა მცირე რამ
გმირმა ქორებში ჩაფლულმა
და შენთან ყრთად მოკურცხლა
შენმა უებრო მსაჯულმა.
გუნიავე, ჩვენო გუნიავე,
ქორების უხვად მცხობელო,
საქეყნოთ თავი მოიქერ
სხვის დამცილების მდომელო...

ტყუილს რომ მოკლე ფეხი აქვს,
ნუ თუ ეს ალარ იცოდნი,
რათ ვერ იფიქრე—მოლექსეც
ვერ გიშველიდა იროდი,
ვერცა ილიკო, ვერც ნინო,
ვერცა „ისარი“ ქებული,
დამირჩით ყველა საცინლათ
ნიშადურ ამოცხებულიო...

და ამის შემდეგ კვლავ ბედავ
ქორის გუდების ბერვასა,
კვალათ განაგრძობ უტიფრათ
სხვის პიროვნების თელვასა,
ვალიკო, ჩვენო ვალიკო,
ქორის გულათა ქცეულო,

არტისტო ნიჭით კლებულო,
სცენის ბოლოზე გდებულო
და „დრამატურლო“ უებრო,
ქებულო, არა გამობილო,
მედიატორულ ს-მართაჲ ს
რაო გაექეცი ძმობილო? .

კენტი

„ფაროსნები“

ძნიადი საქმე დავიწყე
ღმერთო მიმართე ხელია
ქუთათურ ფედერალისტებს
ზურგი აქეთ ასაწველია
ზოგს კული უნდა გადაეკრა
ზოგს ჩავუსვებო ყელია.
„სპერმაკულინის“ წვეთები
თუ რომ არ შემოჰელია.

ფედერაციის გმირებსა
ეს ჩვეულებათ ჰქონია,
ბრძოლის დროს ხერხი ყოველი
მოსახმარელი გონია
მაგრამ დღევანდელ ხრიკებთან
ძველი არც მონაგონია
გინება ცალი ამისი
„ქარიშხალს“ გამიგონია.

დღევანდელ მათსა ერიშსა
ძველი აქვს გულის ძახანანი,
„შინაურ მტერთა“ შემუსვრა
აი ოცნების საგანი.
და პამპულობას ეწევა
კვლავ თვითეული მათგანი
ზოგი აწ წელთა ნაქარბი
ზოგიც ახალი ბატკანი.

ილიას მოკვლამ შემუსრა
იმათი ქკუის ძალანი
უძლოური სიბრაზისაგან
ყალბზე უდგებათ ბალანი.
აღუღებულსა დომხალსა
იღრ უტევს თავის ქალანი
„ეშტის“ ფარები აისხეს
გაშალეს დროშა-აილანი.

მოდიან „მძიმე“ ნაბიჯით,
ლანძღვით და ნაფურთხებითა,
საჯაოხელოს ხელ-დასმით,
მისივე დაკურთხებითა;
ყურები გამოგვიყრუეს
თავისი თავის ქებითა
იწვიან ბრძოლის „ხალისით“
და „მტერთან“ შეტაკებითა.

წინა მიუძღვის „ფაროსნებს“
გიორგი შავი ქვიანი
უპირველესი „ქართველი“
მოხუცი, ქერა-თმიანი
ფედერაციის ბელადი
მქუხარე რეჩბიანი

საკუთარ კუქის საქმეში
უხვი და ბარაქიანი.
ვერ მოსთქვამს ენა უბრალო
ამა გიორგის ქებასა,
ფედერალისტათ თუ გიცნო
აღარ მოგაკლებს შეგებასა,
აგაცდენს ყოველ სიავს
ყოველგარ გაქირვებასა
და ანგელოზათ წარგადგენს
შავი ქვის მრეწველთ კრებასა.

მაგრამ თუ ზედმა გიმუხლია
არ დაბრე მისი რწმენისა
მასაგათ მტკიცე“ დამცველი
ჩვენი „სამშობლო ენისა“,
მოდარაჯე და მფარველი
მამულის ზღუდე ჰქენისა
მისგან ნურაფერს მოელი
თვინიერ გარნა წყენისა.

„ერთობამ“ დასცა ბახარი
შავი ქვის ვმირის ქებისა
კეთილ-დღეობის სიხმარო
დღეს ავით აუხდებისა
„საფარო“ მეთაურები
უფერულ გაუხდებისა
დებუტატობის ზრახვანი
ვაგლანათ წაუხდებისა.

„ახნაურობა უყვარდა
გვერდზე დახურვა ქულისა“
კრებებზე ორატორობა
მუდამ ატეხა ჩხუბისა
იმედი ჰქონდა მოყმეთა
შვილდ-ისარ-კაპარქ-შუბისა
ტარიელ მკლავაძეების
ქუთათურ ბულვარ კლუბისა

თუ საბოდიშით არ ვამბდით,
არცა დამიწყებთ გმობასა,
აწ გავაწუმებ ქამანჩას
მესტიერულ ლექსთა წყობისა
მითრახით დავაჯილდოვებ
გიორგის ვაჟკაცობასა
აღუვკვეთ კვლად უმგავსო
მეთაურების ცხოვასა.

სხვაცა მყავს შესამკობელი
ამა ჯგუფას და ჯიშისა,
(ქარაფშუტები მათ შორის
უმრავლესია ქვიშისა)
ზოგი ქალაქსა განაგებს
ზოგი სკოლებში გვიზისა
ამ ბოლო ხანში უკილოდ
მისამგზავები გვიყისა.

მუშაკი




ამონაკვეთი.

ნიავო! წყნარათ დაფრინავ,
სითაც გსურს მიეშურები,
ხან ვარდს ეხვევი ყელზედა,
ხან ბუჩქებს ესაუბრები;
წინ ვერაა გადაგიღვება,
ყველაფერს თავზე ველები...
ახ, ნეტავი შენ, ფრთაშარდო,
თავისუფლებით რომ ტკბები!

ნიავო! მეც მსურს შენსავით
გავფრინდე. გავინავარდო.
გულში ჩავეკრა ჩემს ყვავილს,
ვნახო წალკოტი სავარდო.
მაგრამ, ეჰ, ძალა ბოროტი
წინ მელობება წყეული,
არ მიშვებს, არა, სატროსკენ
და მწარეთ მიკნესს მე გული!

გ. ჩხრუხაძე.



ორი ეშმაკი

ზარგელა. ღმერთმანი ტყვილათ დაარქვეს იმ
ანარქისტების „ბატონს“ თავქარიანი მწერალი მისი
დაწერილი „აღსრულდა“ საესეებით ასრულდა ჩვენ
ფედერალისტებსა და მასთან ერთად თითონ ბატონ-
ზედაო.

შეარე. მითომ რაო?

ზარგელა. როგორ თუ რაო?! ეს სამედიატორო
სასამართლო არ კმარა იმის საბუთად, რომ ჩვენი
„საქართველოს მხსენდნი“ არა თუ ქართველობი-
დან არამედ ადამიანობიდანაც კი გადაგვარებულან?

შეარე. აგიშენდა ოჯახი ახალ ამბავს შენ მეუ-
ზნებოდდე! უუგენიოსესი ქართველი „დრამატურდი“,
უუუნტიერესი ქართველი კამედიანჩიკი, უუუუგა-
ნიერესი სამშობლოს „პოვეტი“ და უუუუუუპატიო-
სნესი „ლედაბტორი“ ვალერიან „ლეგენია“ დასაბამი-
დან მოღვაწეობისა თვისისა უუუუუუუუუუუუუუუუუუუუ-
წრაფნილი ცილის მწამებელი და გრძნობათა პატიო
სანთავან „ჯმნულ ქმნილი“ გვამი იყო და ეს ბი-
ძია, შენ ძალიან გვიან შეგიტყვია!

ზარგელა გვიან კი არ შემიტყვია, მაგრამ გვი-
ან გამოგიტყდი. ამა მითხარი ვის დაუჯერო ან ვინ
დავიჯერებს. გულში ერთი გააკვივა და ქვეყანა ალა-
პარაკდა: ვუშველოთ, შევეწიოთ, თორემ შეიძლე-
ბა მზე საქართველოსი იჯმნას სამშობლოს ლაყვარ-
დი ციდანაო.

შეარე ვსწუხვარ რომ მაშინ არ გვქონდა
ჩვენი „კუდინის“ წვეთები,
თორემ ნახავდი „ქორის ბურჯს“
რა მალე მოგაკეთებდი.

ზარგელა. არა შენ თუ ძმა ხარ ეს სამედიატო
რო საქმე გამავებე.

შეარე. შე კურთხეულო კიდევ გასაგებათ
გაქვს!

ზარგელა. მაივარი მუხლები მესმის, მაგრამ
დაწვრილებით მინდა; რა, გეზარება?

შეარე. სულაც არა მართლაც აქ ჩახლართუ-
ლია საქმე და მოდი ერთი ამოვყაროთ კაცის თა-
ვები. შენ გეხსიამება ნასაკირალის ამბავი და დეა-
ბზუის ვადაწვა?

ზარგელა. მახსოვს,

შეარე. ეს პირველი ცეცხლი იყო ჩვენს ქვე-
ყანაში. დასწევს სულ ასიოდე მოსახლე. ამბავი ესე
მოხდა „თავისულების“ ხანაში და ძლიერაც ვახმა-
ურდა. ამ ამბით აღელვებულმა საზოგადოებამ იწ-
ყო შემოწირულებათა შეგროვება „დამწვარ გურუ-
ლებისათვის“. თუ ვახსოვს ვილაცა ქალი მთაწმინ-
დაში ძველ შარვლებსაც კი აგროვებდა აღნიშნუ-
ლი მიზნისათვის.

ზარგელა. მახსოვს, მახსოვს. ბევრი ვიცინე გა-
ზეთებში რომ წავიკითხე მაგის განცხადება.

შეარე. მაშ ვერე. სოფ. დეაბზუ დასწევს. აქე-
დან დაკანონდა თითქო ყოველგვარი შემოწირულე-
ბა უთუოდ გურულებისათვის და კერძოთ დეაბზუ-
ელებისათვის უნდა იყოსო. ნასაკირალის შემდეგ არ
ვასულია სულ ხუთიოდე თვე, რომ მთელი გურია
ანთეს; განა მართა გურია? ასეთივე დღე დააჯა

ხაშურის, ბელაგორის, ყვირილას, ქუთაისის, სენაკს, მრავალ სხვა ადგილებს დაარბიეს აგრეთვე ქართლის სოფლებიც.

ზარგვლა. ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ სამედიცინო სამართალთან რა კავშირი აქვს:

ქეაბე. მოითმინე, მოითმინე, „აქტარებთა სოფელი არაღის მოუქამია:“ მაგასაც მოვახსენებ. ამგვარათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში არა თუ მარტო გურია, მით უმეტეს სოფ. დვბაზუ, არამედ ურიცხვი სხვა დაბა-ქალაქები და კერძო ოჯახებიც დაზარალდნენ. განა ცოტა ვაჯაკაცი დაეცა განგმირული? თუ გახსოვს მაშინ გურულები ამბობდნენ: კიდევ კარგია ადამიანის სისხლის რომ არ ღვრიან. სახლს ქე ააშენებს კაციო. ამგვარათ მრავალი სხვაც დაზარალდა და აწიოკდა იმ შავ დღეებში, მაგრამ შეგროვილ ფულებისკენ უმთავრესათ გურულები იწვიდნენ ხელებს.

ზარგვლა. ღირსიც იყვენ ძმაო დახმარებისა.

ქეაბე. ვინ ამბობ ღირსი არ იყვენო, მაგრამ სხვაც უნდა ვაგახსენდეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს მადა დვბაზულებს განუღვიძა „გურულთა განმანათლებელმა“ კნენია ნინო ნაკაშიძისამ.

ზარგვლა. წარმოიდგინე შენ, რომ საქართველოს დღეებში მართლაც ბევრი ურევია ასეთი განმანათლებელი.

ქეაბე. ყველა უცხო წიგნებში ასე სწერენ: „საქართველო ქალებით არის შესანიშნავიო:“ ზო და ამ ნინო განმანათლებელმა შეიტყო, რომ ხარბინიდან გამოავაგვენს მოგზაურის რედაქციაში 2006 მანეთი „ბრძოლაში მოკლულთა ოჯახების დასახმარებლათ“ და მყისვე ატუნტულდა სოფ. დვბაზუში. იქ მოავგროვა სამი-ოთხი ჯგერინი გლეხი და მოავლინა თფილისსა და „ჩვენი ფულები გაქვთ აქა და მოგვეცითო.“ კნენია ნინოს არ ვიცი რა ჰქონდა მიზნათ, მაგრამ მისი მოქმედებიდან დასკვნილი: პოლიტიკური მოსაზრება უფრო ამოქმედებს ვიდრე კაცთ-მოყვარეობაო.

ზარგვლა. A-a-a... ის ხომ უმწვერვალესი ფედერალისტკაა და მოგეხსენებათ ფედერალისტების ავტორიტეტი გურიაში ქანდრაკულ მდგომარეობაში იყო.

ქეაბე. აი სწორეთ ამის გამოკეთება შევსწამეთ ჩვენს განმანათლებელს, ვინაიდან სხვაფრივ ვერ აგვეხსნა მის მიერ „დვბაზუტების“ ამგვარი ხშირი მოვლინება. თფილის ქალაქში იმ ფულების მისაღებათ, რომელიც დვბაზულებისათვის არც მოავგროვებიათ და არც გამოაუგზავნიათ. ნინო განმანათლებელი კი აგზავნიდა და აგზავნიდა „დვბაზუტებს“ დაფერილი მენდლებით.

ზარგვლა. მერე ვერ უთხრეს: „ფული თქვენთვის არ არის დანიშნული“? მორჩა და ვათავდა!

ქეაბე. როგორ ხამივით ლაპარაკობ? უთხრეს და ერთჯერ უთხრეს თუ? მიმღებმა ცალკე უთხრა, გამომგზავნელმა ცალკე უთხრა, მომგროვებელ-შემომწირველებმა ცალკე უთხრეს, მაგრამ დვბაზუტებს მაინც გზავნიდა და გზავნიდა ჩვენი განმანათლებელი კნენია.

ზარგვლა. ახირებულაა შენმა მხემ!

ქეაბე. მოიცა, მოიცა. ახირებული ამ კნენის მოქმედება იმდენად არიყო, რამდენათაც „ნიშადურიანი რედაქტორის შართლ-მოყვარეობა.“ როდესაც თითქმის „პაროზნაია“ კნენისათვისაც კი მოუხერხებელი გახდა ახალ-ახალი „დვბაზუტების“ შედგენა, აღნიშნული გოტენტოტი „იძულებულია შეიქნას სიმართლის გამოაშკარავებისათვის მიემართას სტერილური ზამთრისთვის, ვითარცა უკიდურესი სპეციალისტისთვის...“

ზარგვლა. მართლაც რომ გოტენტოტი ყოფილა, რომ რა იძულება ადგა თავისი ისედაც შერტხვენილი თავი ერთხელ კიდევ არ გაეკრა სამარტხვინო ბოძზე?

ქეაბე. იცი რა გითხრა? იძულება არავითარი გარდა საკუთარი უგზურებისა, მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ, სახელდობრ ისა, რომ ეს გამოლაშქრება დამყარებული სრულსა და ნათელ ცილის-წამებაზე მიმართული ფ. მახარაძის წინააღმდეგ მოხდა ილია ქავკავაძის მკვლელობის შემდეგ და...და...და...

ზარგვლა. თქვი რაღას აქიანურებ, ექვი გებადება თითქო ეს ბინძური იერიში ფ. მახარაძის წინააღმდეგ გამოწვეული იყოს მამულიწვილიური შერისიებით?

ქეაბე. ვინ იცის? შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ უფრო გასაოცარია „ღვუნის“ რედაქტორის „მართლ-მოყვარეობა.“ ის ამბობს: „მე ფ. მახარაძეს დღმე ჰატყავს გეტმ, როგორც ცნობად მადგაწეს, სერიოზულ სასოგადობრივ ძალას, მე ფაქტადაც არ მომსვლია მისი ზირადთა შეურაცყოფა. მე ამ შემთხვევაში სულ სხვა მქონდა მხედველობა:“ არა, თუ ძმა ხარ, იქნება ქვეყანაზე არა თუ რედაქტორი, არამედ ლაპარაკის მცოდნე ადამიანი, რომელიც ამოდენა სისულელეს და სიყალბეს ერთი მოქმედით იქმოდეს? ამბობს შენი შეურაცხყოფა არ მინდოდაო და ეუბნება: „მშვიდი გურულების ფული შენ შექამე, იმით საზღვარ-გარეთ იგზავრე და იქეფეო.“

ზარგვლა. ამგვარათ ამ აფრიკელი რედაქტორის აზრით „ქეაბეიტების“ გამოსარკვევათ შეგიძლია კაცს რაც გინდა ის დასწამო!

ქეაბე. მეც სწორეთ მაგის თქმა მინდოდა. ესთქვათ ორმა-სამმა ფედერალისტმა გამოართვა კერ-

ძო კაცს რომოდენიმე ათი ათასი მანეთი. (რასაკვირველია მაგალითისთვის ვაშპობთ) ეს ფული დახარჯა და პატრონს „ატყაზი“ დაარტყა. ჩვენი ქუაზე გადახტარი „სატირიკი“ რედაქტორი რომ „ფედერალისტი არ იყოს „სიმართლის“ გამოსარკვევით ადგება და გიორგი ზდანოვიჩის ან სამსონ ფირცხაღვას დაუწერს: თქვენ შექამეთ ეს ფულეზიო.

ზარგულა. „კარგი რამ გქირდეს გიკვირდეს ავი რა საკვირველია დიდი ხანია „ლოუნია“ სინდისს აიღო ხელია.

ქუაზე. მე „ლოუნიაზე“ არც კი მომდის გული, ეს მისი ჩვეულებრივა ხელობაა, მაგრამ რაიცა შეეხება ბ-ნთ პეტრე სურგულაძეს, ვახტანგ მუსხელია და ირაკლი გუნცაძეს, აქ ნამდვილი „რაზაჩაროვანიე“ მომივიდა. მართალია პეტრე კარგა ხანია წავიდა ხელიდან, მაგრამ...

ზარგულა. არა რალა „მეგარამ“ გინდა თუ ძმა ხარ? მეგრამ საექვეო საქმეზეა საქირო და პეტრე რომ ვალოერიანის მარჯვენა ფეხი არ ყოფილიყო მდლიატორეთ დაუღებოდა? შესახებ ვახტანგისა რასაკვირველია არავითარი საბუთი არა გექონდა რაც მოიშოქმედა იმაზე უკეთესი რამ ექნა. იმ პირობებში და გაყდენთილებს იმ წერტილამდე მისული ადამიანისთვის ძნელია გუნიას ეფაოპობაზე გადახტომა.

ქუაზე. არა, მავათ დაანებე თავი! როგორც ხედავ, აქაც კნინას მიზეზით ჩაიშალა საქმე. იმ კურთხეულმა „არა-სიმართლე“ მოახსენა სასამართლოს და როცა აზხილეს, პატივეცემულმა მსაჯულეებმა საბოღოშო საქმეთ მხილება ვახადეს და არა წარმოთქმა „არა სიმართლისა“.


ზარგულა. მართლაც ნამდვილი „ფედერალისტური“ მსჯელობაა მე და ჩემმა დემრთმა. ქალბატონს „არა სიმართლის“ თქმას არ უთვლიან დანაშაულათ, ხოლო ქალბატონის მიერ გალანძღულს ამის გამხელისათვისაც ბოდიშს სთხოვენ.

ქუაზე. ეს იმიტომ, რომ ქართველი კაცი ბუნებით რაინდია და მერმე კნიაზი კაცი! კნინას სიცრუეც მიეტყვება! ალბათ იმიტომ რომ ქალია!

ზარგულა: მაშ იკიდა გუნია მერცხვენის გოლორი?

ქუაზე. ესე ვითარი სამკაული მას არც არასოდეს მოუხდია მისი პატივეცემული ზურგიდან. სასაცილო ძმაო ის იქნებოდა, ვალოერიანის სახელოვან ორგანოს რომ სოსიკო მერკვილაძის წერილობითი ცნობა დაებეჭდა, მაგრამ ეს თუ მან არ ქნა

ისევე ჩვენ ვიკისროთ ამ საარაკო და სოსიკოსაგანაც კი ვასაკვირი ქორიკანული დოკუმენტის გამთრახება.



სალდინსო სურათები.

ალარ ვუმღერ კვალად ცისკარს, ვერ მახარებს განთიადი და გულს მივსებს ნალველ მწარით ცხოვრებისა აწმყო ცხადი.

ან რათ მინდა, ოცნების ფრთით თუნდ ცამდის რომ ავიცურო? უნაყოფო აზრთა ფრქვევით დავჯნე, ოფლად დავიწურო?

ამ ვარ შრომით ვის რას ვარგებ? სჯობს რომ სხვა გზა განვიცადო: თვით გავჩუმდე და საგნები ვამეტყველო, ვალოადლო...

აი, ხედავთ იმ ჩინოსანს, მცველები რომ ვარს არტყაია? დღეს ცხოვრებით კმაყოფილი შუბ-მოსილი, ამაყია.

გუმინ კი ის საცოდავით ბნელ სოროში იმლოდა და ელვარე მზის სინათლის ხილვასაც კი არ ელოდა.

მაგრამ დაჰკრა სულ სხვა სიომ: არე მარე შეწრაილდა და „ქვემდრომით“ მიწის პირზე თამამათ ამოსრილდა.

თვისი გესლი, თვისი შხამი მან მოავლო არე-მარეს ავი ზნე სქირს მაგ გულით ბილწს, ვარგნობით კი ელვარეს...

ნელის ბიჯით რომ მიმგზავრობს ლაპარაკში ენა ტკბილი, სულ ყველაფერს რომ ჩავკითხავს და სურს გაგიშინჯოს კბილი,

შეხვედროზე სალამს მოგცემს, მდაბლად ძირს დავიკრავს თავსა, ტკბილადვე გემწვიდობება და არც ფიქრობ მახე ავსა.

*) სხ.არტივ - ომ გადავთაზმნთ ნიწნავს „სიცრუემ“ ანუ „ატყული“

მაგრამ იცი?! ის ამ ხერხით
 საიდუმლო საქმეს ჩარხავს
 და მერწმუნე, ამ საქმეში
 მას ბადალიც ქვეყნად არ ჰყავს!

ის გუშინაც ორჭოფობდა,
 ვინ იცოდა მისი ხრიკი!
 მაგრამ ეხლა „სიტიტვლისთან“
 გამოაჩნდა „კულის რიკი“

მძიმე ქშენით რომ ჩაგვშორდა
 ერთი-ორიც ჩაახველა,
 მაგრამ იცი, ჩვენისთანებს
 სისხლი ოვლად გამოსწევო!

მსახურია „მამონისა“,
 თანაც სწყალობს კაპიტალი
 და მუშების ცარცვა-გლეჯით
 შეიძინა „კარგი ძალი“.

გუშინ მუშას ძმას ეძახდა,
 მაზე შზე ამოსდიოდა,
 მაგრამ, ვიცით, რომ ის ამას
 ცბიერებით სჩადიოდა.

და დღეს, როცა დრო იხელა,
 „შოკავშირის“ ძაღვაც ნახა,
 სხვა დანარჩენ „ნადირებთან“
 მანც გააღო მყრალი ხახა:

მოუწოდა თანამსგავსებს,
 მათ ჩაჰკიდა ხელი ძმურათ,
 რომ მუშების სისხლი ოვლათ
 სწოვონ, ხვრიტონ ძველებურათ...

იქით ხედავთ პილუაკოსანს
 ხელში ტროსტით, ცხვირზე „აჩიით“,
 ჩაგრულ ხალხის ინტერესზე
 რომ ქადაგობს ღიდის „ჩაჩხით“?!

გუშინ ისიც მოძრაობას
 ეტრფოდა, უკმევედა გუნდრუქს,
 დღეს კი ლალი ირემივით
 გან-განზე უშვრება ფუნდრუქს.

ამბობს: „რის ჩლავი, რის ფლავი,
 რომელი მოძრაობაო?
 ჩვენ გვწამს მხოლოდ ეროვნება,
 სხვა კი არის მასხრობაო!“

ავერ ხედავთ, მენაკუთრეს,
 მეკუბოე-მესაფლავეს,
 „კეფალი“ რომ მოინატრა
 და ფარგაც არ მოაქვავს?!.

ეჰ, რა უნდა გამოვსთხოვოთ
 ჩვენი ქვეყნის მეშვებედეს?
 მათის ქებით ვაზუთებმა
 ყურები გამოგვიქედეს...

ეხლა ვინ გსურთ დავანახოთ?
 „თავი“?! „ზუბრი“!.. მაგრამ არა:
 მათი ქება შემდღვისთვის
 და დღეს, მგონი, ესეც კმარა!..

ნ. ზომლეთელი.

გამოცანა.

(ლ.ჩხუთისთვის)


თავი უგავს ქურთის მურას
 უღვაშები თითო კონა
 ესდევით რომ ვერ ივარგა
 ფედერალებს მიეკონა..
 რედაქციას აგენტათ ყავს
 დოცლობია მამლაყინწა
 მარჯვენით რაც გაჰყიდა
 მარცხენით გადაყლინწა
 სოციალ-დემოკრატთ ლანძღვა
 მუღამ პირზედ აკვრია
 ვით მე არ მაქვს ლალ-ზურმუხტი
 არც მის თავში აფვრია.
 ეხლა აღარც პარტია ჰყავს.
 უნაყოფოთ დაფუშულია
 ნალბანდობაც მიატოვა
 დაყილობს საწყლათ ტყულა.

ხიციხი



ბათუმის ავან-ჩაჰანი.

ჰავას აღამიანის აგებულობაზე ღიდი გავლენა აქვს. ამას მეტნიერები გვისაბუთებენ და რა უფლება მაქვს არ დაუფუჯრო, მით უმეტეს რომ ეს გამოცდილებამ ცხადათ დამანახვა. მაგალითათ — ზღვის პირის ჰავას ერთი შესანიშნავი თვისება აქვს: სხვა ჰავაში მცხოვრები — სიცოცხლით საფეც, მკვირცხლი და მშობრავი აღამიანი იწყებს თუ არა ცხოვრებას ამგვარ ადგილებში, ზანტდება, მოძრაობას კარგავს და მუღამ ძილის გავლენაშია. ასე რომ იმათ გამო-საფხიზლებათ, არა თუ სპერმაკუდინი, ხშირათ სპერ-მაწყვიდინიც ამაო საშვალბაა. სწორეთ ამით აიხ-სნება რომ ბათუმში ყოველგვარმა კომისიებმა, პოდ-კომისიებმა და კომიტეტებმა ძილს თავი ვერ აართ-ვეს, ხოლო თუ რამე მანქანებით მოხდა სასწაული და მოკლე ხნით მაინც სანახევროთ გამოიღვიძეს, მათი ტვინის ნაყოფ-ნ კრომს, უნებლიეთ, ახალ გა-



ვლესოთ და ვლესოთ... სძლანა.


მოღვიძებული ადამიანის მოქმედების დალი აზის. ამიტომაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, როცა ამტყუნებენ აქაურ ქალაქის ხმოსნებს, რომლებმაც დაბალ მოსამსახურეებს ჯამაგირის მომატებაზე უარი სტკიცეს. მიბრძანეთ, თქვენნი ქირიმე, აქ ხმოსნები რა შუაშია თუ თავმან მათიმან, ძიულისა გამო, ვერა შესძლო საქმისა კეთილ ყოფა. ვიმეორებ, აქ ბუნება დანაშაულია, რომელმაც ბათუმის არე მარეში „კაცთა მკირეთა“, დასახელათ, ჰაერი დასაძინებელი ნივთიერებით შეაზავა. სამაგიეროთ აქაურ ძილს ერთი სანაქებო თვისებაცა აქვს — საბუთი სიზმრები იცის. როგორც ბათუმის ჰაერში მცხოვრები, ვერც თქვენნი მონა და მორჩილი ავცილი ბუნების სიმკაცრის და ამ ახალი წლის დასაწყისში ერთი მაგრათ დამეძინა. მელას რაც აგონდებოდა ის ესინზმრებოდა და მეც ისე მომივიდა: კი ხანია თბილი ადგილს ვეძებდი თუმცა ცივი ადგილი უფრო ადვილი საზოგადოება ვიდრე თბილი, მარა ძილში მაინც თბილი ადგილი ვნახე და კინაღამ ვივდე კუდით ხელში. ვითომც ქალაქის საავადმყოფოში რაღაც თბილი ადგილი გაიხსნა და ვისთანაც ჯერ იყო, თხოვნით მივბარათ. მოილეს მოწყალება და

ადგილიც აღმიტყვეს, შილოდ ამისათვის საჭირო პირობები წერილობით მომთხოვეს. დავთანხმდი და ჩამოწერილი პირობების მუხლები ხელის მოსაწყერათ წარმომიდგინეს. ვადავიკითხე. მუხლი 1. მაქვს პენსია (ან ვადრე მოველი) 2. მაქვს დიდი შემოსავლიანი მამული და სახლი. 3. მიმსახურია ისეთ დაწესებულებაში, სადაც ყოველ გვარ ჩხვანკლსა და კაკუტებს ზედმიწევნით ასწავლიან. 4. ვერ შემომპარებენ ყალბ ქალაქის ფულს, რადგანაც ამ გვარს ნამდვილისაგან ადვილად გაეარჩევ. 5. ვარ ქართველი და მძიბებელი მეტი სიმდიდრის. 6. ტოლუმბაშათ სანაქებო ვარ. 7. ყოველ ქაშაში პირველათ სამშობლოს სადღევრძელოს დავლევ, 8. ქართველი ვალეშილიც რომ იყოს მივატყეებ, ხოლო არა ქართველი ქირივით მეგავრება. 9. კკითხულობ „ნიშადურს“ და მისი თანამოაზრეც ვახლავარ. 10. საქმე მძავს და მუშაობას გავურბივარ 11. დღე და ღამეში შილოდ თექვსმეტი საათი მძინავს. 12. ღანარჩენ დროს ამაყობაში და ცეკვაში ვატარებ.

შეიშვნა: სავალდებულოა პირველი 4 მუხლი, ხოლო დანარჩენების უკონკლობით კანდიდატი არ

ლიწუნების, ვინაიდან ესენი შემდეგშია აღვილოთ შეიძინების.

როგორც პირობიდან ჩანდა ჩემი თხოვნა უადგილო იყო, რადგანაც სათბილადილო ცენზი არ მომეძეოდა და დალონებულმა ვინოვე რომ მოეცათ ნება თავდები წამყენებია. დამდევს პატივი და ნება დამრთეს. გამოვბრუნდი, აქეთ ვეცი, იქით ვიტრიოლე და როგორც იყო ამგვარი ცენზის მქონე, ვინმე გამოვებენ და ჩემთან ჩემი საბუთიანა ადგილის მისაღებად გამოვიკვიმე. მარა თქვენს მტერს იმისთანა, — მტკიცეს თქვენი მოწონებული უარი. ამ გვარი კაცი უკვე ვიშოვეთ და ადგილიც მან იგლო ხელშიო. მეცა ელდა, შევარდი ნატყვიარსავია, იატაკზე ბრავანი მოვადინე და გამომეღვიძა. **ბლიკვაძე.**



ძაკთვილ ძალთა დასუქების საკითხი.

რეფერატი ექიმი ვ. წ.

(„ისარი“ 272. 274. 276.)

„ხანგრძლივმა გამოცდილებამ დამარწმუნა რომ, ქართველი ქალები, ადრე ბურღებიან.“ რომ ერი არ გადასწიდას-საჭირთა ჩვენი ქალები ადრე არ მოხუცდნენ, მუდამ ახალ-გაზრდები იყვნენ.

„ქართველი ქალი გამხდარია“ — ამიტომ საჭირთა მისი გასუქება! გასუქებისათვის კი საჭირთა ბუერი ფაქტით, ხოლო ჭამათვის კი აუცილებელია დაარსდეს ქალთა გამსუქებელი ამხანაგობა.

ამ სიკამხდრის მიხეცხა რომ ჩვენი ქალები თრწელში თითო ბაჟს ძლიერ-ძლივობით ზრდიან, რითაც ჩვენი ერის სიმრავლე დიდით არ მატულობს, ხოლო რთმელი ერიც არ მატულობს შესამწევათ, ის გადასწიების გზას ადგია,

ჩვენი ქალები რომ ადრე არ ბურღებოდნენ, ცხადია ერი უფრო იმრავლებდა. ჩვენი ქალები რომ გამხდრები არ იყვნენ უსუქლობით — ცხადია უოველ წელს თითო ვაჟკაცს შესწინდენ სამშობლოს. ვისაც გული შეგტკივთა სამშობლოსათვის — ეტადეთ ქალების გასუქებას. აჭმეთ ბლომათ. „ქართველი ქალისთან თაჟსე ხელ-ადებულა ქვეყ-

ნასე სხვა არ მიაბოუება. ის უკვლავიერს ქმარს აჭმევს, თვითონ კი მხადს და კვლას მტერს არაფერს სწამს. სხვადავმა არ იცის რომ დაძმანას მსახრდოებულ მსაღას შეადგენს ზური და ხორცი, ხოლო დახარჩენს მნაშენელობა აქვს, როგორც მადის მომგვრელს, ზარის გასკემრელებელს და მადის გასადიერებელს.“ ეს საჭირთა დახისომით ვინც ქალების სუქებას უკვლავით. (დაუფერეთ. ექიმთა). აუხსენით ქალებს, რომ ხორცი და ზური ეჭმით. მხადს, ღობითს, კვლას და სხ. სე აჭმევათ „როგორც მადის მომგვრელს,“ თორემ ბუერ ზურს და ხორც შეჭამენ. ეტადეთ მამულისაშეიღობა თორემ „ამის შედეგია ჟინთოლოგური, ცანებრთვი და ზნებრთვი გადასწიება.“ თუ არ იქმარეთ ჩვენი ქვეყანას უფა-უთრანი დაუბატონება და ქართველის სხეულიც აღიკვება ზირის-გან ქვეყნისა.“

მარა უფრთხილდით ზურის გამორჩევაში. „ხევერის ზური არ ვარცა. მე თვითონ მიჭამა ერთხელ და ბედი მიწვევლია. გარეო-კახელი ზურიც არა უკეთესია. უგემურია. იმერელი გლეხის მჭადიც. „ხოხორა-“ც არა უკეთესია. ქართლელის — შავი, გორელის და მიწა ნარევიას.“ ხომ გესმით. უნდა აჭმით ფურნის თეთრი-ბუმბულა ზური. (ექიმს დაუაწედა რომ ასეთი ზურის ფქვილი რუსეთიდან მთავრით და რუსები ხომ.... ვაი რომ მოგწ... და ერი უცბათ გაჭრეს..)

მარა ჩვენი ქალები დირს კი ამათ? „შეითხველს ალობთ წარმოდგენილი ვაქს ქართველი ქალი, როგორც უოველად ზატოისანი. უმწიველო და კეთილ შობილნი, მაგრამ არა ადარ არიან ძველი ქალები.“ (მამ რატომ ვიტყხით თავი. თუ ზატოისანი, უმწიველო და კეთილ-შობილნი ადარ არიან ჩვენი ქალები, შავი ქვა უჭამათ. მათი სუქების დარდი მაჭკეს!).

„მარა ნურავინ იუთქრებს ვითომ მამაკაცები სკობდეს **ამ მხრით** დედა-კაცებს.“ (კარგი სუკეშია). ადარ არიან უოველად ზატოისანი, უმწიველო და კეთილ-შობილნი ქალები და ამ მხრით ადარც მამაკაცები ჩამორჩებიან ე. ი. ადარ არიან ზატოისანი, უმწიველო და კეთილ-შობილნი მამაკაცები... შემეძინა დემორთმანი*) ნუ თუ ჩვენი ერი უველა ასეთი ზირებიდან შესდებება! სწინ მისა მორჩენა ექიმ ვ. წ. კი არა „ისარი“ დისტაქრებსაც ადარ შეეძლება. ექიმო მართლეს ამბობთ თუ იხურეთ?

ან კი კაა რავა დავუქმართებდა. ინტელიგენციას არ ვარცაო. თავად ზსხურობა მტრითაო. დემურთი ადარ წამთ და ზატი. უმტრისი და უფრთსი. მუშები ეველს ცენტრალისტია. ეველა შედაღურია. ბურჟუებს თავს არ უვარჯს. გლეხები შეშლილია. „დავლხი“, კადატკადითა“ ეუბნებიან-ისინი ტამს უვარჯენ და ხარობენ“ ეფედრალა-ხტებს დაზარაქის ნებას არ აძლევენ. ავტონომიის ხსენებასეც ეველ სუბესივით ეკარილით ცარბანს. ქალებს არ

ინდონეს და ბეჟინს და ახს დემონი, (მისი სხეულის ჭირიშქი.) კაის გვიზამდა...

და ეგულა ეს იგიო ვისი ბრალდა? იმ შესვენებულად და დუთის ჰირისკან განდვანდილა ს. დემონატუსს გარტეეს წელში ბატონო რანხ დიალექტიკაო და სელ ეგულაფერი გონაზე აეუდეს, ეგულაფერი განხდგურეს, „მაგათ მისწამდეს მუშების აზრო“ და ჭერედ კა. მაგ, წუეულებმა და სამშობლოს მოადალატეებმა. მაგათ გირუსეთის ს. დემონატუამ უბრძანა ასე ჰოაქედითო.

რუსები ხომ იგიო, ბატონებო, მუდამ ჩვენი მტერი იყო და ახს ესლ რდა ხერის დავგურედა

ეგულა ამ უბედურების მოსახეობაო ს.ჭირთა შემდეგი რეცეპტი: 1) ქალები ვასუქება. ამისთვის კოთხერანდის დაარსება. ჰურის და ხორცის ჭამა დღეში თის-ჯერ. (ფხვლი არ აჭამოთ თირემ მად გუეუდიერ-დებს) ჰური უთუოთ თეთრი, მარა ფრთხილათ რუსეთი-

დგან მოდის... 2) გლენებნისათვის საგიუეთის აშენება ერთ-ჯერ. 3) ინტელაგენციის, თავად-აზნაურობის და ბურჟუების პატივისცემით და სიყვარულით თავის დაცვა დილა-სადამთბოთა თითო-ჯერ. 4) მედიდურა მუშების შეპანლურება ყოველ თორ სხათში. 5) სუფთა სხელების აშენება ერთ-ჯერ. 6) ზურთლებული ქვეშ-სუგების გარეცხა-გამოცეცა-ყოველ გვირაშში თითოჯერ 7) ს. დემონატუსის მასაჟი და გემრ-დების ზედა, რან შეიძლება მაგათ, ყოველ თორ სხათილ შემდეგ. 7) რომ არ გაცედეო სსჭირთა ატონთობა ჩი-იგათ. სასშედათაც გამოდგება.

თუ ასე მოაქედეთ მაშინ ჩვენი სამშობლო უეცრათ აზნაუდება და შეც შესთას ერმად მხიარულათ შემოავსის-სებ:

„ჩემო გარვო ქვეყანა,“ ველარ დავასაბუნე, ეს-დეკებმა თუ წავრუევენს, შე რომ გამოვკარუნე...

ციცუნია.



ნაჩილუბი უმჯავისადმი

სამტრედიის ჩაიონი. ძმაო ეშმაკო! საკვირველია „კულარის“ მოქმედება. წარმოიდგინე, მამასახლის მელიტონს დალაქობის მადა აღუძრა. ამ უკანასკნელმა უკვე გადასწყვიტა თავის „კომოზნიკებს“ კბილები დააძროს, რადგანაც ჰგონია ადამიანი კბილებით ლაპარაკობს.

ბ-ნ მელიტონს და აქაურ უფროს მასწავლებელს გადაუსყვეტიათ სკოლისა და კანცელარიის შეერთება, რათა ნარდისა და კარტის თამაშზე ხელი არ შეეშალოთ. თუ ამ მხრივ საქმე კარგათ წავიდა განზრახულია ბილიარდის დადგამაც.

ხილისთავიდან. (გურია) ერთი მოიცაღე ძმაო ეშმაკო, ამ ჩვენი დაბისათვისაც და როცა მოგიხდეს ზედა გურიაში მოგზაურობა ხილისთავშიაც შემოიარე. აქაურ სასადილოში უთუოდ შეხედები შე-

ზარხოშებულ მამასახლისსა და მწერალს. ხომ იცი ახლიანდელ დროში სოფელს თას გვარი ვადასახალი აქვს და ასეთ ამდგურულ წყალში „გამოსარჩენის“ გამოიმასქნა არც თუ ისეთი ძნელი საქმეა რომ არობელიძეს გაუჭირდეს.

უთხარი თუ ძმა ხარ, რომ აქაურ მასწავლებლებს სასჯელთ ჯამაგირის გამოიმასქნაც ეყოფა და ციმბირისაკენ გამომასქნა რაღა საქირო იყო თქვა. სხვაფრივ შენ იცი როგორ პატივს სცემ და როგორ გამოიმასქნამ მათ გამოიმასქნილებულ სამსახურს. სატანა.

იქიდანვე. ეშმაკო! აქ ერთმა გვამმა, თავის თავს „გამოსუნქისინებული“ უწოდა და ქიფის მიეცა. ქიფი რასაკვირველია არ არის დასაძრახი ხელობა, მაგრამ ვასაკვირი ქიფის მდებარეობაა. იკრიბიბიან,

ძმაო, ეკლესიის უკან, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ეშმაკი ვერ მოგიდგება ეკლესიის შიშითა*).

თუ ამ ქიფვის ნახვა მოიხურვო აჰყევი წყლის პირს ზევით და პირველ შეხვედრილ ხეზე ატოცი. იქ უთოდ გაიგონებ: „დავლი და დავლიდა, დავლიდა!..“

მიჰყევ ხმას და როცა სახლში შეხვალ იკითხვის უძახიან „გამოსუნქისინებულს“. თუ ვინმე დაბალმა კაცმა დაიწყოს აბლაკატობა ერთი უცხუნე და ჩაის ქიქით მონაყილი აღესას მაგივრათ შენი კურთხეული „სპერმაკუდინი“ გადააყლაპიე.

დაბალი.

აბაშიდან. ეშმაკო! ახალი წელიწადი დაგიდგა და ნუთუ ერთი აბაშელებს არ უნდა მიულოცო შენი მათრახის კული? ჰაი, ჰაი რომ უნდა მიულოცო, მაგრამ წეს-რიგი, თუ ძმა ხარ, ასეთი იქონიე: პირველ ყოვლისა სულიერ მამას კონსტანტინეს ამთხვიე ზურგზე; შემდეგ ჩვენ მამასახლისის თანაშემწე ნიკოს, მაგრამ ისე კე რომ ერთოთხ თვესყრილობას ვერ დაესწრას და სოფელმა ერთი თავისუფლათ ამოისუნთქოს; აქედან კანცელარიაში მიდი ნესტორთან და როცა საქმეს მორჩე იაგორის სახლი ჰკითხე. იაგორას ნულარ დასტოვებ გულ-ნაკულუს გამოაგდე წინ და ასტრახანამდე მიიყვანე. იქ ბათუ ნახეს მისალოცავს აღარც ის დააკლებს.

კირილეს, მარტო, წინადადებაშიეცი მოღვაწეობა გაიუზღობესოს.

აბაშელი.

ლაილაში. (ღეჩხუმი) ახანაგო ეშმაკო! ნებას ვაძლევ ჩემს თავს გთხოვო ერთი ლაილაშს შეირბინო ინახულო წითელ რაზმელათ ნამყოფი პეტრე მესხაძე. დიდი ძებნა საქირო არ არის, გაიგებს თუ არა თქვენს ასვლას. წამსვე თითონ გინახულებს, მაგრამ ახლოს არ მიიკაროთ. დანახვის თანავე გადასცე მათრახი: ხელიდან არ გაგისხლტეს (სწრაფია) თორემ თუ გაგეცა ვიატკას აქეთ არ დაგტოვებს. ქუთაისისკენ რომ გამოექანო ალბანის საზოგადოებაში სოფ. ცაგერას გაუხვიე. ინახულეთ ანეტა გრიგოლ ახვლედიანის ასული, რომელმაც გ. ჩიკვაიძეს და გ. ასათიანს ასეთი დიდი ღვაწლი დასდო. ვენაცვლები შენს გრძელ კუდიან მათრახს თუ მასაც სამსახურის შესაფერ პატივს სცემ.

ლასემელი.

ქინათიდან. ქინათი და ქანქათი ერთი არ გეგონოს, ძმაო ეშმაკო! ქანქათი იმიტომ არ არის, რომ სხვა და სხვა მღვდლები გყავს. ზემო ჩიბათელ მოსე ჯორბენაძეს თუ არ ეწყინება ახლა მხოლოდ

*) უსაფუძვლო იმედია. ეშმაკი.

ესტატე ხუცესს გაგასინჯებ და ვინძლო შენ იცი, როგორ განკურნავ. სატიკიარი მისი გულითადი იმაში მდგომარეობს, რომ სახლი უნდა ეკლესიის მახლობლად და მრევლნი ვერ უშენებენ. აბა რა ქნას მრევლმა თუ ქანქარი გამოვლია და რომც ჰქონდეს რა მოვლეთ მღვდელს სახლი უშენოს.

ქინათის მასწავლებელსაც თუ გააფრთხილებ ძლიერ დაგიმადლებთ. ნუ გაერევა „მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში, თორემ ხომ იცი ხიფათი ერთბაშათ მოხდება ხოლმე. ოთხშაბათ-პარასკევსაც თუ წმინდათ შეინახავს ამისთვისაც წარჩინებას მიიღებს უმაღლესი მთავრობისგან. შენი „სპერმაკუდინი“ თუ შეიძლება მარხვაში იხმაროს ერთი ნახევარი ბოთლი გამოუჯავენე თუ ძმა ხარ.

ხათაბლა.

ბელაგორიდან. ძმაო ეშმაკო! როგორც ამბობენ „ნიშადურის“ რედაქციაში ძლიერ ლითიჯანა ბიკები არიანო, მაგრამ ღმერთი რჯული ისეთებს ვერც იქ ნახავ, როგორც ჩვენს ბელაგორს ასხია. წარმოიდგინე სახალხო მასწავლებელთა შორისაც უმაღლეს წერტილამდის არის „მისული ესე დარგი მოღვაწეობისა. არც ერთ ნათვლას, არც ერთ ქორწილს არ აკლდებიან და გარეშე კრებაზე სიმინდი რომ დაუყარო ვერ მიიტყუვ. კავშირის დაარსება ხომ აინუნშიაც არ მოსდით!

კარგს იზამ ერთს რომ ჩამოირბენდე და შენი მათრახის კულით ამ გონებრივი ძილიდან გამოაფხიზლებ მათ. შეგეზარება, თორემ ყვირილაშიაც უნდა მასწავლებელ სიმონ ორჯონიკიძეს მათრახის კულით ტვინის შეხტინება; თუ არ მოუხდება ხომ არაფერს წაუხდენს?!

რაიცა შეეხება ჩვენი საღვურის უფროსის თანაშემწე თევზაძეს სულით და გულით მთხოვნელია შენი „სპერმაკუდინისა“ და თუ გაქვს ერთი მონამჩნო ქიქა, ნუ ჩადგები ცოლვაში და გამოუჯავენე.

ჩიჭი.

ღვებზუიდან (მიბაძვა).

ორშაბათ დილა გათენდა,
რა კარგი დარი ღვებაო.
ეს ჩვენი ტურფა ირაკლი
სამგზავროთ ემზადებაო.
ოზურგეთისკენ გასწია,
იქ საქმე ეგულდებაო,
დუქანში „პოვროთ“ დამდგარა
ცნობებსა ეკრიბებაო.
თუ ვინმე უცხო შეხედება
სახელ-გვარს ეკითხებაო.
თუ კრამოლნიკი გამოდგა,
„მასიკოს“ მოხსენდებაო.

თავზე „სტრაჟები“ დაესხმის
ციხეში წაბრძანდებაო.
მერე იქიდან გამოსვლა,
საეაქროთ შეიქნებაო:
ვინც ხუთმეტ თუმანს იშოვის
კარები გაეხსნებაო.

ეწრიელი.

ხონა. ხონის „თავფხისტებსა“, ძმაო ეშმაკო,
ძლიერ მოუხდება ერთი ზურგის აცხუნება. როცა
საქმე თავფხე-დრამაზე მიდგება ერთმანეთს ასწრო-
ბენ, ხოლო როცა გადამდებ სენით ვინმე გარდაი-
ცვლება სათაფხეზე არ მიუღებთან, განსაკუთრებით
დამიბატივე მღ. კ. ქ-ძე და მთ. ღიაკ. სეფ. ჩხენ-
კელი. თითონ მიხედებიან რისაუვის ვცემთ პატივს.

რაიცა შეეხება ხონელ ვაჭრებს ერთი შვილი
ვედრა სპერმაკულინი გამომიგზავნე თუ ხათრი გაქვს,
რადგან მათი გულ უხვი შემოწირულებისა გამო
ლამის დანგრეც ადგილობრივი თეატრის კედლები.


რალთ გინდა თეატრი
და მასში თავხედობა;
რას გვარგებს წიგნის კითხვა
რას მიქვია ერთობა?
ჩვენ გესურს მხოლოდ ქეიფი.
და ლოთური ღრილი,
ხოლო გასარძობადა
კამათლების ტრიალი.

მუჰუ.

ლანჩხუთიდან.

ეშმაკო? მიიხრეს უნზედა
გულთამილაღი არისო,
მარჩიელობაც გჩვევია
ერთობ მრავალი გვარისო.
მაშ სცადე, კარგად დაფიქრდი
შემოიკრიფე გონება
და გვარქვი: ვის აქვს ლანჩხუთის
ბიბლიოთეკის ქონება.

შხანკოლა.



დ ე ზ ე შ ე ბ ი.

სამბრეილი. ამბობენ დათიკოს თავისა აფთო-
ქი ბოქაულის კანცელოარიაში გადააქვსო.

ჩვენს დაბას კვალად მოველინა ერთი „მცვე-
ლი“ ანგელოზი ბ.ნი ხუნდაძე, რომელიც, გავიყუ-
ბით შეუყვარდათ სამბრეილის მცხოვრებლებს.

ლანჩხუთი. ლანჩხუთის ფოსტის უფროსმა
ოდესის გენ. გუბერნატორისაგან მადლობის დებეშა
მიიღო მიქიაშვილის გამოსათხოვარი სადილის გა-
მართვისათვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, ბ.ნი სარ-
ქისი მაინც. ცუდ გუნებაზეა და გთხოვთ გამოუგ-
ზავნოთ საქირო პორცია „სპერმაკულინისა“ დე-
პეშით.

ჯურაშხუთი როგორც გავიგეთ გიგინეოშვი-
ლებისა და ქუანიების შეერთებულ კრებას გადა-
უწყებთა პრეტესტი გამოუცხადონ ლანჩხუთის ყო-
ფილ ბოქაულს მიქიევს მათი თავმჯდომარის და
საყვარელა სირია გიგინეოშვილას წაყვანისათვის



„სპერმაკულინის“ „სპაჟაშვი“.

ჯინჯინი. თუ არ ბავიწურებ თ რაედენ ვაშკიძისა-
თვის ელაგ მოგვაწოდეთ 49 წვეთი „კულინი“, ვინიდან სა-
სტრაჟიკო ჯანზე ვერ მოვიდა. ამ პოპტის შემდეგ წარ-
გუ ვენტ ბ.ნ ანტონ მხეიძეს.

იძილანგი. ანდრია სალარეოშვილი, ალექსა ხარაბაძე
და ენუქი ხარაბაძე დიდის მოკრძალებით გთხოვენ ბ.ნო
ეშმაკო მოუვლინო მათ თითო „ყლაპი“ თქვენი სპერმაკული-
ნისა, მაგრამ დახსოვდეთ ამითი საყლაპავი კარგა მოზრდ-
ლია. ვიდრე გამოუგზავნიდ და მიიღებდენ დალიდან სალა-
მამდე სტეფანე თათარის ღუქანზე ისხდებიან და ამოსარჩ-
ნი! თაობაზე იფიქრებენ.

იძილანგი. იასონ დარსაველიძე მოხუცეული ერთი
ყაწვი „სპერმაკულინით“ უთბრათ ალგუარდი და შეკდეკ მიი-
მალეთ, თორემ მიხერხებული კაცია და...

ზაზანი თუ შეგიძლიათ შეამზადოთ კულინი გონებ-
რივი სიბედის წინააღმდეგ, მოართეთ ლევან ქაჯაიას ერთი
ვირვანქა, რომ გლეხების მოხეხვნები არა მარტო თვალით,
აზრითაც გაითვალისწინოს.

კულაში. კასიონ და კონსტანტინე მიქელაძეებს სტი-
რიათ ჯანზე მოსაყვანი დაზა „კულინი“ სა, რომ უფრო ენერ-

ძმაო, ეკლესიის უკან, ალბათ იმ მოსასრებით, რომ ეშმაკი ვერ მოგვიდგება ეკლესიის შიშითაო*).

თუ ამ ქვიფის ნახვა მოისურვო აპყვეი წყლის პირს ზევით და პირველ შეხვედრილ ხეზე აცოციდი. იქ უთოდ გაიგონებ: „დავლი და დავლიდა, დავლიდა!..“

მიჰყვე ხმას და როცა სახლში შეხვალ იკითხვის უძახიან „გამოსუნქისინებულს“. თუ ვინმე დაბალმა კაცმა დაიწყოს აბლაკატობა ერთი უცხუნე და ჩანს ქიქით მონაყლი ადესას მაგივრათ შენი კურთხეული „სპერმაკუდინი“ გადააყლაპიე.

დაბალი.

აბაშიდან. ეშმაკო! ახალი წელიწადი დაგივდა და ნუთუ ერთი აბაშელებს არ უნდა მიულოცო შენი მათრახის კული? ჰაი, ჰაი რომ უნდა მიულოცო, მაგრამ წეს-რიგი, თუ ძმა ხარ, ასეთი იქონიე: პირველ ყოვლისა სულიერ მამას კონსტანტინეს ამთხვიე ზურგზე; შემდეგ ჩვენ მამასახლისის თანაშემწე ნიკოს, მაგრამ ისე კი რომ ერთ ოთხ თვესყრილობას ვერ დაესწრას და სოფელმა ერთა თავისუფლათ ამოისუნთქოს; აქედან კანცელარიაში მიდი ნესტორთან და როცა საქმეს მორჩე იაგორის სახლი ჰკითხე. იაგორას ნულარ დასტოვებ გულ-ნაკლულს გამოაგდე წინ და ასტრახანამდე მიიყვანე. იქ ბათუ ნახავს მისალოცავს აღარც ის დააკლებს.

კირილეს, მარტო, წინადადება მიეცი მოღვეწეობა გაიუმჯობესოს.

აბაშელი.

ლაილაში. (ღეჩხუმი) ახანაგო ეშმაკო! ნებას ვაძლევ ჩემს თავს გთხოვო ერთი ლაილაშს შეიბინო ინახულო წითელ რაზმელათ ნაყოფი პეტრე მესხაძე. დიდი ძებნა საქირო არ არის, გაიგებს თუ არა თქვენს ასელას წამსვე თითონ გინახულეს, მაგრამ ახლოს არ მიიკაროთ. დანახვის თანავე გადასცე მათრახი: ხელიდან არ გაგისხლტეს (სწრაფია) თორემ თუ გაგექცა ვიატკას აქეთ არ დაგტოვებს. ქუთაისისკენ რომ გამოექანო ალპანის საზოგადოებაში სოფ. ცაგერას გაუხვიე. ინახულოთ ანეტა გრიგოლ ახვლედიანის ასული, რომელმაც გ. ჩიკვაძეს და გ. ასათიანს ასეთი დიდი ღვაწლი დასცა. ვენაცვლები შენს გრძელ კუდიან მათრახს თუ მასაც სამსახურის შესაფერ პატივს სცემ.

ლასემელი.

ჭინათიდან. ჭინათი და ქანჭათი ერთი არ გეგონოს, ძმაო ეშმაკო! ქანჭათი იმიტომ არ არის, რომ სხვა და სხვა მღვდლები გყავს. ზემო ჩიბათელ მოსე ჯორბენაძეს თუ არ ეწყინება ახლა მხოლოდ

ესტატე ხუცესს გაგასინჯებ და ვინძლო შენ იცი, როგორ განკურნავ. სატკივარი მისი გულითადი იმაში მდგომარეობს, რომ სახლი უნდა ეკლესიის მახლობლად და მრევლნი ვერ უშენებენ. აბა რა ქნას მრევლმა თუ ქანჭარი გამოეგლია და რომც ჰქონდეს რა მოვლვა მღვდელს სახლი უშენოს.

ჭინათის მასწავლებელსაც თუ გააფრთხილებ ძლიერ დაგიმადლებთ. ნუ გაერევა „მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში, თორემ ხომ იცი ხიფათი ერთბაშით მოხდება ხოლმე. ოთხშაბათ-პარასკევსაც თუ წმინდათ შეინახავს ამისთვისაც წარჩინებას მიიღებს უმაღლესი მთავრობისგან. შენი „სპერმაკუდინი“ თუ შეიძლება მარხვაში იხმაროს ერთი ნახევარი ბოთლი გამოუჯზავნე თუ ძმა ხარ.

ხათაბლა.

ბელაგორიდან. ძმაო ეშმაკო! როგორც ამბობენ „ნიშადურის“ რედაქციაში ძლიერ ლითიჯანა ბიჭები არიანო, მაგრამ ღმერთი რჯული ისეთებს ვერც იქ ნახავ, როგორც ჩვენს ბელაგორს ასხია. წარმოიდგინე სახალხო მასწავლებელთა შორისაც უმაღლეს წერტილამდის არის. მისული ესე დარგი მოღვაწეობისა. არც ერთ ნათელას, არც ერთ ქორწილს არ აკლდებიან და გარეშე კრებაზე სიმინდი რომ დაუყარო ვერ მიიტყავ. კავშირის დაარსება ხომ აინუნშიაც არ მოსდით!

კარგს იზამ ერთს რომ ჩამოირბენდე და შენი მათრახის კულით ამ გონებრივი ძილიდან გამოაფხიზლებ მათ. შეგვხარება, თორემ ყვირილაშიაც უნდა მასწავლებელ სიმონ ორჯონიკიძეს მათრახის კულით ტენის შეხტინება; თუ არ მოუხდება ხომ არაფერს წაუხდენს?!

რაცა შეეხება ჩვენი საღვურის უფროსის თანაშემწე თევზაძეს სულით და გულით მთხოვნელია შენი „სპერმაკუდინისა“ და თუ გაქვს ერთი მონამზნო ქიქა, ნუ ჩადებე ცოდვაში და გამოუჯზავნე.

ჩიჭი.

ღვებზუიდან (მიბაძეა).

ორშაბათ დილა გათენდა, რა კარგი დარი ღვებაო. ეს ჩვენი ტურფა ირაკლი სამგზავროთ ეშაღებაო. ოზურგეთისკენ გასწია, იქ საქმე ეგულეზაო, დუქანში „პოვრათ“ დამდგარა ცნობებსა ეკრიბებაო. თუ ვინმე უცხო შეხვდება სახელ-გვარს ეკითხებაო. თუ კრამოლნიკი გამოდგა, „მასიკოს“ მოხსენდებაო.

* უსაფუძვლო იმედია. ეშმაკი.

თავზე „სტრატეგია“ დაესხმის
 ცინეზი წაბრძანდება.
 მერე იქიდან გამოსვლა,
 საეაქროთ შეიქნებაო:
 ვინც ხუთმეტ თუმანს იშოვის
 კარები გაეხსნებაო.

ქროილი.

ხონა. ხონის „თავფეხისტეგისა“, ძმაო ეშმაკო,
 ძლიერ მოუხდება ერთი ზურგის აცხუნება. როცა
 საჭმე თავფეხ-დრამაზე მიდგება ერთმანეთს ასწრო-
 ბენ, ხოლო როცა გადამდებ სენით ვინმე გარდაი-
 ცვლება სათოფეზე არ მიუღებთან, განსაკუთრებით
 დამიბატივე მღ. კ. ქ—ძე და შთ. დიკ. სეფ. ჩხენ-
 კელი. თითონ მიხვდებიან რისთვის ცვეთ პატივს.
 რაიცა შეეხება ხონელ ვაჭრებს ერთი შვილი
 ვედრა სპერმაკულინი გამოიგზავნენ თუ ხათრი გაქვს,
 რადგან მათი გულ უხვი შემოწირულებისა გამო
 ლამის დინგრეს ადგილობრივი თეატრის კედლები.


რალათ გვინდა თეატრი
 და მასში თავხედობა;
 რას გვარგებს წიგნის კითხვა
 რას მიქვია ერთობა?
 ჩვენ გვსურს მხოლოდ ქეიფი.
 და ლოთური ღრიალი;
 ხოლო გასარობადა
 კამათლების ტრიალი.

გუშუ.

ლანჩუთიდან.

ეშმაკო? მოთხრეს შენზედა
 გულთამილაფი არისო,
 მარჩიელობაც გჩვევია
 ერთობ მრავალი გვარისო.
 მაშ სცადე, კარგად დაფიქრი
 შემოიკრიფე გონება
 და გვარქვი: ვის აქვს ლანჩუთის
 ბიბლიოთეკის ქონება.

შხანკოლა.



დ ე ზ ე შ ე ბ ი .

სამტრიალი. ამბობენ დათიკოს თავისა აფთია-
 ქი ბოქაულის კანცელარიაში გადააქვსო.

ჩვენს დაბას კვალად მოველინა ერთი „მცვე-
 ლი“ ანგელოზი ბ-ნი ხუნდაძე, რომელიც, გაგიჟე-
 ბით შეუყვარდათ სამტრიალის მცხოვრებლებს.

ლანჩუთი. ლანჩუთის ფოსტის უფროსმა
 ოდესის გენ. გუბერნატორისგან მადლობის დეპეშა
 მიიღო მიქიაშვილის გამოსათხოვარი სადილის გა-
 მართვისათვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, ბ-ნი სარ-
 ქისი მაინც უღელ გუნებაზეა და ვთხოვთ გამოუგ-
 ზავნოთ საჭირო პორცია „სპერმაკულინისა“ დე-
 პეშით.

ჯურჯუმეთი როგორც ვაგიგეთ გიგინეიშვი-
 ლებისა და ქუჩიანების შეერთებულ კრებას გადა-
 უწყვეტია პროტესტი გამოუცხადონ ლანჩუთის ყო-
 ფილ ბოქაულს მიქიევს მათი თავგჯდომარის და
 საყვარელა სირია გიგინეიშვილას წაყვანისათვის



„სპერმაკულინის“ „წაპაჭები“.

ჯიხანიში. თუ არ მაგიგწერებ თ რადენ ვაშაქისა-
 თვის კვლე მოგვაწოდებ 49 წვეთი „კულინი“, ვინაიდან სა-
 სტრატეგია ჯანზე ვერ მოვიდა. ამ პოპ-ის შემდეგ წარ-
 ვუ გენთ ბ-ნ ანტონ მხეიძეს.

იძილანში. ანდრა საღარეოვილი, ალექსა ხარაბაძე
 და ენუქი ხარაბაძე დიდს მოკრძალებით გთხოვენ ბ-ნო
 ეშმაკო მოუვლინო მათ თითო „ყლაბი“ თქენის სპერმაკული-
 ნისა, მაგრამ დახსოვდეთ ამითი საყლაბავე კარგა მოზრდი-
 ლია. ვიდრე გამოუგზავნიდეთ და მიიღებდენ დოლიჟან საღა-
 მადლე სტეფანე თათარის დუქანზე ისხდებიან და ამოსარჩ-
 ნი თაობაზე იტიკებენ.

იძილანში. ისონ დარსველიძე მოზრდილია ერთი
 ყანწი „სპერმაკულინით“ უთხრათ ალაჯიკრი და „შქმდეკ მიი-
 მალით, თორემ მოხერხებული კაცია და...

ზაზანი თუ შეგიძლიათ შეამზადოთ კულინი გონებ-
 რივი სიბეკის წინააღმდეგ, მთარაგით ლევან ქაჯაიას ერთი
 ვირანქა, რომ გლტვების მოხსოვნები არა მარტო თვალთ,
 აზრითაც გაითვალისწინოს.

კულაში. კასიონ და კონსტანტინე მიქელაძეებს სკი-
 რიათ ჯანზე მოსაყვანი დოზა „კულინი სა“, რომ უფრო ენერ-

გიულათ შეერძოლონ გლეხებს და ძველი წესები საეხებით აღადგინონ.

მხახვარა. თელორე ჩაჩაფას, ფარული „გამოსარჩენის“ მწარმოებელს გთხოვთ წარმოუგზავნოთ 45 წვეთი სპერმაკუდინი ფეხ დადებით, ხოლო „ცნობრების ასპარეზზე ახლად გამოსულ ივლიანე ნიკოლეიშვილს კე 24 წვეთი.

მწერი ადგილობრივი მღვდლები გთხოვენ დრამის ფულში აღებული ქაბები მიიღოთ და სამავგიროთ გამოუგზავნოთ ამავე ფასის სპერმაკუდინი.

ალაგეთური.



ხონის ქალთა გინეაზიის ცხომარებიდან.

(გაკეთილად ქვამ შაჟე პასტასისა).

(დარეკის შემდეგ „ბარიზნები“ თავიანთ ადგილებზე დასდებიან და მასწავლებელს ელოდებიან, ცოტა ხნის შემდეგ მოისმის მძიმეთ ფეხის ბიჯება და თან ხველა. კიდევ ცოტა ხანი... და კარებში გამოჩნდება სხეილ სხეილი შომაღლო ვაჟკაცი, რომელსაც თავის დიდრონი ფეხები თითქოს გარიდან ამოკაუტებული აქვს, ისე, როგორც ცნობილ ობზ-ფეხს მიხეილ პოტაპისძეს... ეს „ფიფურა“ გახლავთ ექიმი მათე ბახტაძე, მას რაღაც ილლით მოაქვს, ცალ ხელს მუცელზე იჭირებს. მასწავლებლის შემოსვლა „ბარიზნებს“ ღიმილს გვირის, მათე კი მძიმეთ ან როგორც იმერლები იტყვიან ბლაკი-ბლუკითა და ჩლაგი-ჩლოვით უახლოვდება კათედრას. ის რაღაც უხერხულ მდგომარეობაშია: ცმატურობს, ჯაგლაგობს... როგორც იქნება დაჯდება ვენის სკამზე, მარა სწორათ მაინც ვერ ჩერდება და სულ ხელებს ეყრდნობა; ხელები კი სწორეთ იმ ადგილას აქვს წინიდგან სკამზე დაბეჯნილი, საიდანაც ფეხები იწყება .. „ბარიზნებს“ აწითლებს ასეთი ჯდომა... მარა... გაკვეთილი იწყება).

მასწავლ. (დიდის ხნის ფიქრის შემდეგ) ჰმ... რა გაკვეთილია?

ქრთა „ბარაშნა“. ანატომია ბატონო...

მასწავ. ო, მართლა! მაშ რა უნდა გვეკონდეს, მე კიდევ გადამაიწყყა...

(მოსწავლეები ხელს აიშვრენ და წამდაუწყუმ ისმის: ია... ია... ია ბულდუ ოტვეჩატ!)

მასწავლ. დაწყნარდით ძღაბებო... უკაცრავით გოგოებო *), არა კიდევ უკაცრავით „ბარიზნებო“. აბა ვინ მეტყვის .. ჰმ... (ფიქრობს) სად აბია კაცს თავი?

ქეორე „ბარაშნა“. თავი ბატონო აქანე აბია კაცს (უჩვენებს).

მასწავ ძალიან კარგი. ახლა მითხარით... სად აბია კაცს... (ფიქრობს) ფრჩხილი?

ქესამე „ბარაშნა“. აი აქანე მუსიო კავალერ, პარდონ... უკაცრავით ბატონო...

(ჩუმი სიცილია).

მასწავ. ძალიან კარგი, დაბრძანდით. აბა ახლა მითხარით... არა (შუბლზე ხელს მიიდებს, ყველას გონია რაღაც ძნელ კითხვას დასეფას მასწავლებელი და ელოდებიან) უკაცრავით. ამიწერეთ კაცის ენა...

ქეოთხე „ბარაშნა“. ენა აქვს კაცს პირში. ზოგ კაცს ენა გრძელი აქვს, ზოგს მოკლე...

მასწავ. მოითმინეთ ბოშო ვინოვაც... ბარიზნა. მარტო კაცს აქვს გრძელი?

ქეოთხე „ბარაშნა“. ნიკაე ნეტ... ქალსაც ბატონო...

მასწავ. ოო, განაგრძე...

ქეოთხე „ბარაშნა“. მლა... იმას ვამბდი, ზოგიერთ კაცს ენა გრძელი აქვს, ზოგს მოკლე, ზოგს განიერი, ზოგს ვიწრო... ზოგს წითელი, ზოგს თეთრი...

მასწავ. ოო, თეთრი, თეთრი... როდის თუ იკით („ბარიზნები“ ფიქრობენ, ზოგი ენაზე იხედება) სიცხის დროს... სიცხე არ გქონიან... აა, რო გახურდები კაცი...

ქეოთხე „ბარაშნა“. კი ბატონო, როგორ არა?..

მასწავ. დაჯექით, მშვენივრათ დაგისწავლიათ გაკვეთილი. აბა ახლა მიბრძანეთ... ჰმ... რამდენი წლის იბადება კაცი... უკაცრავით... რამდენი წლის კვდება მეოქი?

ქეოთხე „ბარაშნა“. 40 წლის.

ქეექსე „ბარაშნა“. 60 წლის.

მასწავ. კარგი, კარგი, დაჯექით. აბა ახლა ყური დამიგდეთ და ახალ გაკვეთილს აუხსნი. (დიდის ხნის ფიქრის შემდეგ იწყება ლაპარაკს, მარა ვაი მის გაგონებას: სიტყვა სიტყვას არ ებმევა, აზრი აზრს) კაცს ტვინი... ტვინი თავში აქვს... დი ახ, თავში... თავი აქანე აბია (აჩვენებს). თავზე კაცს ბალანი აქვს... ტვინი სხვადანსხვანაირია: უტყვი და ნიჭიანი. ნიჭიანია ის კაცი, რომელსაც ტვინი აქვს. ტვინში კაცს ნერვები აქვს... ნერვებით კაცი ფიქრობს.. არა გრძნობს. კაცს ხუთი გრძნობა აქვს, ხო იკით? კაცს ტვინი კილო ზურგში აქვს... არა... იმაში (ფიქრობს) რა ქვია ის ოხერა... ძვალში, ძვალში... ძვალი ხო იკით რას ქვია? ცხენის ძვალი ხო გინახავთ? აი ისაა. ოო, იმას ვამბობდი. ტვინი... ტვინი დიდი საჭიროა კაცისათვის... კაცს რო ტვინი არ ქონდეს ბატს დაუ-

*) გოგო ქვემო იმერეთში სათაკილა.

დახებენ. ბატს იმიტომ ქვია ბატი, რომ ტვინი არა აქვს. არ გიქამიათ ბატის ხორცი? სულ უტვინოა... მართალი გითხრათ გემრიელიც კია („ბარიშნებს“ ნერწყვი ადგებათ და ტუჩებს აწლავებენ). ამნაირათ ტვინი დიდი საჭიროა კაცისათვის, კაცი ტვინით დაღის, არა... მოქმედებს. მარა იქნება თქვენ არც კი იცით ტვინი რას ქვია.. აი ხარის თავიდან რო ამეიღებენ, ხო გიქამიათ? აი ის არის... (ამ დროს ვენე შარაშიძე ხარის რაწკუნით მოადგება კარებს და მისებურათ შაქარივით ეტყვის ექიმს: გამობრძანდით, გეყოფათ, თავს ნუ დეილაღავთ. მთვც ბლაცი-ბლუტით გაღის. „ბარიშნები“ რა ლაც ცუდ გუნებაზე გრძობენ თავს).

ვ. მალაქიაშვილი

წერილები რედაქციის მიმართ.

ვისთხოვ ბატონო მალაქიაშვილ „მშაპის მატარანის“ რედაქციას დამომწიოს, რომ სმტრედიდან მოწერილი კორესპონდენტები შე არ შეკუთვანს.

სატრედიის ორკო. საწვავილის მასწავლებელი ალექ. სტურუა.

რედ. არ ეყოთენს.

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ ამ წერილს ადვილი დაუთმთ „ცისკარის“ გაზეთის ფურცელზე. „მშაპის მატარანი“ გაზეთში 1891 წელს დაიწყო მთავარბუღალ ბატონ ოტსტანის ლექსი დაიღაში. სხვათა შორის ამ ლექსში ოტსტანი იქნა შენაო ვაჭარს და ღანჯავის შემდეგ: იქვე ნასაყი ნაო ვაჭარს, რეაქციას რომ სვამს ყანით და სეღობას თუ არ შესცვდის მთავრად და მარტოა, ავი ზნის არას, ნაო ვაჭარს გაზეთებს მტრობს ის ნამეტნაკათ და სხვა და ბოლოს ეგეტ წერია, შე ვითომ სატყვის მიმტან-მომტანი ვიყო. ეგელ ამ ცილის წამებისთვის ბატონ ოტსტანის ვიწვევ სმიდიატორო სამართალში, რომ დაგვიმტკიცოს თავის ბრალდებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში ვადადებულათ ვთვლით რედაქციას, კამოცხადოს, რომ ის შეკლამაში შეიყვანა აღნიშნულმა კორესპონდენტმა.

ნიკო ჯანაიფე.

„მშაპის მატარანის“ ფოსტა.

ბაძო. ხალხ. ძლიერ სამწუხაროა თუ მოგვარე სიმონ ნიკურაძე ვარეშე არსიყობის გამო ცულ-შვილს ღვთის ანაბა-ა ტოვებს, მაგრამ რედაქციას არ შეუძლია თქვენი წერილი დაბეჭდოს ამის შესახებ, ვინაიდან ეს ოჯახური საქმეა.

თიფლისი. პართენ მურუსიძეს, აპირებული კი ეყოფილხართ რ: ქველ „წმინდა გიორგის“ მაღლმა გადავინჯეთ მე-15 ნომერში ამხ. ნაცნობის წერილი და იქ თქვენი გვარი სულაც არ არის ნახსენები, არა თუ სახელი. შეიძლე-

ბა თქვენ იმ 115 სადმეულის მაგივრათ „გაკუტლთ“, რომლებსაც „პრიგოვორზე“ უწერიათ ხელი, მაგრამ თქვენი გაუგებრობა „ნაწილის“ დანაშაულათ ხომ არ ჩაითვლება? ტყვილათ გაისარჯეთ და ჩვენე გაგვსარჯეთ. მშვიდობით!

ბათუმი. ბზის. ბათუმში ჩვენ უკვე გვეყავს კორესპონდენტები და რომ უნებლიეთ შეცდომაში არ შევიდეთ, უნდობი პირებს წერილებს ვერ ვბეჭდავთ.

ფოთი. კოწია ნიკოზურგელს. ყველა მხეჩქემ იცის ცოტადენი ტყუილი, მაგრამ ეს რა სამართაო ამბავია?

შოტაბანი. გ. უიშვილს. თქვენი წერილი ვერ გავარჩიეთ.

საშური. მუშათაგანს. წერილზე სახელი და გვარი მინც მოაწერეთ, რომ რედაქციამ იცოდეს ვინა ხართ.

ბათუმი. ჰინკას ფოსტებში ყველგან ვგრეა არა თუ მარტო ბათუმში. ორკაკაციკინი მარჯის ყიღვა რომ გინდოდეს საათ ნახევარს გადადევნებენ, მაგრამ ეს რა გასაკვირია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ევალებთ ბათუმელ ბლოკავებს განქიქება უქნას ბათუმის საფოსტო კანტონას.

ზისტაფონი. აოსს. თუ ექარვა აღმსხან ბეზაშვილმა საქნელი ქალღმრთი არ გავგებით, მეორეთ ნულარ იყიდით მისგან. ბოიკოტში მეც დაგებმარებთ, ხოლო ასეთი წერილმანი საქმე მთარანის მოქმევათ არც კი ღირს და თუ ღირს ისიც თქვენა მიმართ.

ოჯურბეთი. კორეს. თქვენი წისკვილის გარიგების ამბავიც ისეთი ჩიორა ამბავია, რომ ერთი წვეთი სპერმაკულინი გერგებთ გონორაათ.

საჯამახი. შურდულს. აპირებულია თქენი საქმე: „მგლის თავზე სახარების კითხვა“ მშაპის საქმე არ არის და გვიკვირს რატომ გეუცხოვთ, როცა საჯამახელი სტრაგნიკების ვაზეთისადმი მიდრეკილებას ღვინისადმი მიდრეკილება ურჩევნია. „უო მენში მეზე სტარანნა“.

ოჯურბეთი. გიორგი ჩხაიძეს. მოახსენეთ კოსტას და მამოს რომ იმათ შესახებ მოწერილი ამბავი კარტის თამაშის შესახებ თქვენ არ გავუთვინთ.

ოჯურბეთი. ევალს. სამწუხაროთ თქვენი ლექსები ოთხივე დეხებზე კოტლობენ.

ძუთათოსი. თ ვენი თქულება: „არაქა ბიკო ესია, ყლენტები შემოგვესიაო“ მართლაც რომ ძველი თქმულეა. რაიცა შეხება დანარჩენ წერილს არ იბეჭდება, ვინაიდან ჩვენ სხვა წერილიც მივიღეთ შარაშიძის ქალის მოტაცებისა და 600 მანეთის „გამოსარჩენის“ განაწილების შესახებ. თქვენი სტყვით სარდლონს, აბესალომს და მაქსიმენს მღელ. მგლოზლიშვილისას ჩხუბი 100 მანეთის გაყოფაზე მოვივიდით, რაიც სხვა წყარების მიხედვით „არა პართალია“ მეორე კორე პოდენტა გვეწრს ასი მანეთის გამოსარჩენი ვიდრე ვაყოფებოლა გაყვეს სამთ და თითონ 33 მან. 33 კაპ. შეხვდათ, ხოლო ჩხუბი დარჩენილმა ერთმა კაპეიმა გამოიწვია, ვინაიდან იმისი გაყოფა ვ ღარ მო ხერხესო.

ესე განმარტება ჭკუსთან (რასაკვირველია ჯღენტების) უფრო ახლოა.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.



„ფარელების“ ზრცვნიხ ქუთაისში.

ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი

„ეშმაკის მატრახი“

გამოდის კვირაში ერთხელ.

ჟურნალი ღირს ერთი წლით—5 მანეთი ნახევარი წლით—3 მ. ერთი თვით—50 კ.

ვინც 1908 წლისათვის გამოაწერს ჟურნალს და მიიღი წლის დასს გამოუგზავნის რედაქციას, გასული წლის „ეშმაკის მატრახის“ ყველა ნომერი უფასოთ გაგზავნება.

ხელის მომწერლებს დული შეუძლია გამოგზავნოს პირდაპირ რედაქციაში: Тифლისъ въ редакцію жунала „Ешмакисъ Матрахи“, Т. Болквадзе.

ელექტრომბეგდავი აშხ. „შრომა“, მინილის პროსპ. № 65